


ავტობიოგრაფია

მე, ინგა არჩილის ასული მათიაშვილი დავიბადე 07.07.1971 წელს ქ. ბოლნისში. 1977 წელს შევედი ქ. თბილისის 123-ე საშუალო სკოლაში. 1979 წელს გადავედი 39-ე საშუალო სკოლაში, რომელიც 1988 წელს დავამთავრე. 1990 წელს ჩავირიცხე აგრარული უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის ბუღალტრული აღრიცხვის კონტროლი და სამეურნეო საქმიანობის ანალიზის კათედრაზე სტუდენტად, რომელიც 1995 წელს წარჩინებით დავამთავრე. ამავე წლის 15 სექტემბერს დავინიშნე აგრარული უნივერსიტეტის ბუღალტერიაში მთავარი ბუღალტრის მოადგილის თანამდებობაზე. 1994 წლის 29 დეკემბერს გაფორმებული ვიყავი საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ასპირანტურაში მაძიებლად სტატისტიკა და საბუღალტრო აღრიცხვის სპეციალობაზე. 1997 წელს სასწავლებლად გავემგზავრე გერმანიის რესპუბლიკაში და ვსწავლობდი ჰერ მიხაილ ქუმელის სახელობით სახალხო სკოლაში. 1998 წელს დავბრუნდი. 2001 წელს მუშაობა დავიწყე ქ.თბილისის საკრებულოში სამდივნოს ექსპერტის პოზიციაზე. 2002 წელს მუშაობა დავიწყე საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის, ქვემო ქართლის რეგიონულ მრავალპროფილიან ინსტიტუტში სააღრიცხვო-საფინანსო დისციპლინების კათედრაზე უფროს მასწავლებლად. 2004 წელს გავთავისუფლდი. 2013 წელს ჩავაბარე გამოცდა ცესკო-ს მიერ გამოცხადებულ კონკურსზე და ავიღე საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი. ვთანამშრომლობდი ცესკო-ს სასწავლო ცენტრთან.

ინგა მათიაშვილი



06.07.2021 წელი